

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქთი №13

28 აპრილი, 2017 წელი

ქ. ახმეტა

თავმჯდომარეობდა:

თ.ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა:

თ.წითელაური, რ.ბაღაკაშვილი, ი.უჯირაული

გ.ქიტესაშვილი, ზ.გარსევანიძე, თ.ბოდაველი

მ.ალხანაშვილი, ც.გრძელივანიშვილი

ბ.ჭიჭიკლიშვილი, გ.მაისურაძე

სხდომა გაიხსნა 11th სათავე.

საკრებულოს თავმჯდომარე თამარ ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

- „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

- ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სოფ მატანში მდებარე, ყოფილი პროფ. ტექ. სასწავლებლის (ობიექტი პირობითი №15) 4227,0 კვ.მ ფართის მდებარე, ყოფილი პროფ. ტექ. სასწავლებლის (ობიექტი პირობითი №15) 4227,0 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი - 50.11.36.050) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობისათვის“ უსასყიდლო უზუფრულებელის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთევკაური/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ გარსევანიძემ აცნობა ბიუროს წევრებს დავით მურთაზაშვილის გარდაცვალების შესახებ. აღნიშნული გარემოება, კანონის შესაბამისად გამოიწვევს დავით მურთაზაშვილისათვის საკრებულოს წევრის „უფლებამოსილების შეწყვეტას და ფრაქციის „ქართული ოცნება-მთიანი რეგიონებისათვის“ დაშლას, რაც ცნობად უნდა იქნეს მიღებული საკრებულოს სხდომაზე“

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო ინფორმაცია ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით გათვალისწინებულია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა 100,0 ათ. ლარით („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულება).

გადასახდელები

ზრდა (+)

- ბინათმშენებლობა + 100,0 ათ. ლარი;
- ნაპირსამაგრი სამუშაოები + 15,0 ათ. ლარი;
- ა(ა) იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტი“ + 7,0 ათ. ლარი.

კლება (-)

- ავიარეისები - 22,0 ათ. ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სოფ მატანში მდებარე, ყოფილი პროფ. ტექ. სასწავლებლის (ობიექტი პირობითი №15) 4227,0 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი - 50.11.36.050) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

- მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი დამსწრე წევრებს.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა სავითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს
მხარი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა სავითხის მიღებას: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების
დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 11th საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყეინიშვილი